შპს ვანდმაუერ
საქართველო, ქ.თბილისი
ტელ: +995 574 70 04 04
info@wandmauer.ge
www.wandmauer.ge

WAND MAUER

WandMauer Ltd
Georgia, Tbilisi
Phone: +995 574 70 04 04
info@wandmauer.ge
www.wandmauer.ge



ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა

შპს ვანდმაუერ

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა

ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა II კვარტალი, კორპ. #1-ის მიმდებარედ 01.17.14.003.707 ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ზეწოლა გვერდზე მდგომ არსებული კონსტრუქციების შესახებ.

<u>დამკვეთი</u>: შპს ბიჯი ს/ნ 404859818 დირექტორი:

/გ. ბენდელიანი/

<u>შემსრულებელი:</u> შპს ვანდმაუერ-ის
დირექტორი: /ნიკალაი შარაშენიძე/

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი ----------4

ტექნიკური დავალება ----------4

თავი I გამოკვლევა და აღწერა ----------5

თავი II ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა ----------6

დანართი----------7

შ ე ს ა ვ ა ლ ი

2021 წლის 10 აგვისტოს შპს ვანდმაუერ-ს განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა II კვარტალი, კორპ. #1-ის მიმდებარედ 01.17.14.003.707 შპს ბიჯი-ს ს/ნ 404859818 დირექტორმა გ.ბენდელიანმა არსებულ მიწის ნაკვეთზე განსახორციელებელი შენობა-ნაგებობის შესახებ ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მომზადების თაობაზე.

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა შედგება ორი თავისაგან: პირველი თავი ეთმობა ობიექტის აღწერას და კვლევას, ხოლო მეორე თავში მოცემულია ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა.

ტექნიკური დავალება

შპს ვანდმაუერ-ის ექსპერტი-სპეციალისტის წინაშე გადასაწყვეტად ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა II კვარტალი, კორპ. #1-ის მიმდებარედ 01.17.14.003.707 მისამართზე დასმულია შემდეგი საკითხი:

- შესაძლებელია თუ არა არქიტექტურული პროექტის მიხედვით შენობა-ნაგებობის განხორციელება მის მომიჯნავე შენობა-ნაგებობების დაზიანების გარეშე.

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა

თავი I. საკვლევი ობიექტის აღწერა და კვლევა

ტექნიკურ დავალებაში დასმული საკითხების გადასაწყვეტად ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.17.14.003.707 განსახორციელებელია პროექტის მიხედვით თერთმეტ სართულიანი შენობა-ნაგებობა. საპროექტო შენობა წარმოადგენს მეოთხე კლასის ნაგებობას და მას 20 მეტრის რადიუსში ესაზღვრება მხოლოდ ორი შენობა-ნაგებობა საკადასტრო კოდით 01.17.14.001.013 (იხილეთ დანართი სურ.1.). კონსტრუქციული პროექტიდან გამომდინარე მე-2 ღერძიდან ფილა საძირკველი გადაცდენილია 1მ-ით. გენ.გეგმის მიხედვით ერთ-ერთი მათგანი საპროექტო შენობიდან დაშორებულია 5.3მ და 20.99მ (იხილეთ დანართი სურ.1.). 5.3მ-ით დაშორებული წარმოადგენს **გადაასდგილებელ კონსტრუქციას** (იხილეთ დანართი სურ.2.), რომელსაც არ გააჩნია საძირკველი. საპროექტო შენობა-ნაგებობა კონსტრუქციული პროექტის მიხედვით გააჩნია ხიმინჯები და ეყრდნობა კლდოვან ქანებს.

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შედგენისას გამოყენებული მასალები და ხელსაწყოები:

1. ფოტოდოკუმენტური მასალა (2-ფურცელი);
2. დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;
3. ნიველირი.

თავი II. ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა

ტექნიკურ დავალებაში დასმული საკითხის შესაბამისად, ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა II კვარტალი, კორპ. #1-ის მიმდებარედ 01.17.14.003.707 არსებულ მიწის ნაკვეთზე ერთსართულიანი შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის, ფოტომასალით, ინსტრუმენტული შესწავლით და დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ნახაზების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

- ნაგებობები რომლებიც განთავსებულია მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.17.14.001.013 არაფერი არ ემუქრება, რადგან საპროექტო შენობა ეყრდნობა კლდოვან ქანებს და ბრძანება №1-1/1924 მუხლი10-ის მიხედვით მანძილი დასაშვებია.

წინამდებარე ტექნიკური საექსპერტო დასკვნა მომზადდა საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის №57 დადგენილების შესაბამისად. ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა და კვლევა ჩამოყალიბებულია 8- ნაბეჭდ გვერდზე

წინსაწარი შეცნობით, ყალბი დასკვნის გაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვართ ს.ს.კ 370-ე მუხლით.

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა მოამზადა შპს ვანდმაუერ-ის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სპეციალისტებმა:

შპს ვანდმაუერ-ის დირექტორი: /ნიკალოზი შარაშენიძე/


გენერალური გეგმა
მ 1:500
01.00.287
487400
487350
487300
4613650

სურ.1.



სურ.2.